საოკუპაციო ხაზთან არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების პრობლემა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საკითხები

(გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ირაკლი შაიშმელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გორი, 1400, საქართველო,

2021 წელი

საავტორო უფლება ©2021წელი, [ირაკლი შაიშმელაშვილი]

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი შაიშმელაშვილი,

თარიღი: 05.07.2021 წელი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ირაკლი შაიშმელაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროექტს და პროექტი მზად არის დასამტკიცებლად.

ხელმძღვანელი: მოწვეული პერსონალი **სოფო ჩქოფოია**

ხელმოწერა:

თარიღი: 12.07.2021 წელი

ანოტაცია

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი: **„საოკუპაციო ხაზთან არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების პრობლემა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საკითხები (გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)“,** ეხება იმ ძირითად საკითხებს, რომელიც მეტად აქტუალური და პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამაგისტრო ნაშრომის პირველი თავი მოიცავს, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლების წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენას, მათი სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესების შესაძლებლობებს, სახელმწიფო პროგრამებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურობის შესწავლის საკითხებს. ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციის როლისა და შესაძლებლობების წარმოჩენაზე საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგების საკითხში. ნაშრომის მეორე თავში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია, მეტად აქტუალურ და მიმდინარე საკითხზე, როგორიცაა: უკანონო ბორდერიზაციის პროცესი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები, რისკები და გამოწვევები. ყურადღება გამახვილებულია იმ მექანიზმებზე, რაც გააჩნია სახალხო დამცველს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობასთან მიმართებაში.

შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე ნათელია, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სწორი და მკაფიო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა მათი საქმიანობა გახდეს ბევრად ეფექტური და ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებული. აგრეთვე აუცილებელია წინა პლანზე წამოიწიოს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების მოგვარების საკითხები. 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ბორდერიზაციის პროცესი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა მუდმივად განიცდის შიშს ოკუპანტი ქვეყნის მხრიდან. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად არსებული პრობლემების ნაწილი კვლავ გადაუჭრელი და აქტუალურია. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი არის ერთგვარი მცდელობა, შესწავლილ იქნას საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, გაანალიზებული და ნაჩვენები იქნას მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის საკითხები.

ოფიციალურ დოკუმენტებსა და ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და მოცემულია გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელსაც საქართველო უკვე წლებია იღებს არაერთი საერთაშორისო, თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მხრიდან.

Annotation

The proposed research – "**Security issues and the social-economic related bottlenecks faced by the local community members living in the administrative units near the occupation line on the example of Gori Municipality**" -Addresses the main issues that are very relevant and priority in the socio-political life of our country.

The first chapter of the research includes the following key topics: (i) Identifying the challenges faced by the local community; (ii) Identifying the opportunities for support and further development of the social-economic conditions for locals; (iii) Desk studying of the effectiveness and efficiency of the state programs and action plan. Moreover, the following chapter is focusing on the key role of the local state authorities as an opportunity in regards with the ensuring safety and proper social-economic condition for the locals living nearby the border line.

As for the **second chapter** of the research, it clearly outlines the following topic: Illegal borderization process as well as the safety related risks and challenges for the local community members living nearby the border. In addition, this chapter express the mechanisms implemented by the Public Defender (Ombudsman) of Georgia in relation to the locals.

Based on the results of the topics discussed above, it should be outlined that increasing the role of the Government of Georgia (including particular actions) is vitally important to ensure the significant support to the local population on the way of development of their social-economic conditions. Since 2008, the borderization process have been occurring actively, therefore the local community living nearby the border has been constantly experiencing fear on the part of the occupying country. Besides the actions done by the Government of Georgia, part of the problems, facing by the locals, still need to be addressed. Based on the above mentioned, the proposed research is like a step to recognize the social-economic challenges at local level in depth and to find out the ways to address these challenges in an effective manner.

Based on the desk study and researches, done by me within the Master Research the specific conclusion recommendations are developed in regards with the identifying gaps and bottlenecks for further effective reactions, which are also closely resonated with the recommendations of the different international and national organizations developed for the Government of Georgia.

სარჩევი

		გვ.
შესავალი ----------		6
თავი 1. საოკუპაციო ხაზთან არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის თანამედროვე გამოწვევები და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობა მათი ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით ----------		9
1.1	ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც მმართველობის ფორმა და მისი როლი საოკუპაციო ხაზის სოფლებში მცხოვრები ადამიანების პრობლემების მოგვარების საქმეში ----------	9
1.2	საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები: სახელმწიფო პროგრამებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურობა -------	13
თავი 2 - უკანონო ბორდერიზაციის პროცესი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები, რისკები და გამოწვევები ----------		23
2.1	ოკუპაციის როლი და გავლენა გორის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულებში (ბორდერიზაციის შედეგები: ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მათზე რეაგირების არსებული მექანიზმები)	23
2.2	რუსეთის ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ და ე.წ. ბორდერიზაცია Covid-19-ის ფონზე ----------	26
2.3	სახალხო დამცველის საქმიანობა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა ----------	33
დასკვნა ----------		36
გამოყენებული ლიტერატურა ----------		46
დანართი N1, 2, 3, 4 ----------		48

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა: საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური სივრციდან გამომდინარე არაერთხელ აღმოჩენილა ისეთი გამოწვევების წინაშე, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა. თანამედროვე ეტაპზე საფრთხეს, ძირითადად, წარმოადგენს მეზობელი სახელმწიფოს (რუსეთის ფედერაცია) აგრესია.

საქართველოს უახლესი ისტორიის გამოცდილება საკმარისია იმის განსასაზღვრად, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველოს სუვერენიტეტი, ვინაიდან ბოლო 100 წლის განმავლობაში, მეზობელი ქვეყნის - რუსეთის მიერ არაერთხელ განხორციელდა ქვეყნის ანექსია. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ შემდეგი ფაქტები:

1) 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც საზოგადოებაში გააჩინა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და თავისუფალი სახელმწიფოს შენების პერსპექტივები, თუმცა 1921 წელს, რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ განახორციელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, რასაც ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დაემხო მთავრობა, რომელთა უმრავლესობა ემიგრაციაში გადაიხვეწა[1];
2) 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რაც საბოლოო ჯამში რუსეთისათვის გახდა ინდიკატორი, კიდევ ერთხელ დაემხო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რაც ფაქტობრივად განახორციელა კიდეც. კერძოდ, გააღვივა შიდა-ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა, ლეგიტიმური გზით არჩეული მთავრობა დაეცა, ხოლო პრეზიდენტი ქვეყნიდან გააძევეს. შედეგად, 1992-1993 წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული ძალების მიერ პროვოცირებული მოქმედებების გამო, საქართველო ჩაება საომარ ოპერაციებში. აღნიშნული მოვლენები დასრულდა აფხაზეთის

[1] გ. ცხოვრებაძე - ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხები 1921 – 1925 წწ. თბილისი -2007წ

ავტონომიური რესპუბლიკის დაკარგვით, რომელმაც 300 ათასი ადამიანი იძულებით გადაადგილებულ პირად აქცია;[2]

3) 2004-2008 წლების განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოსათვის ჩვეული ხელწერით, ცხინვალის რეგიონში, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის მოქმედებებს, როგორიცაა მუდმივი საომარი მოქმედებები მოსახლეობაში შიშის დანერგვის მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობის გატაცებები, განხორციელებული ტერაქტები და სხვ. ყველა ზემოაღნიშნული ქმედება, ძირითადად, სრულდებოდა ადგილობრივი სეპარატისტების მიერ, რაც საბოლოო ჯამში, 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთის მხრიდან სამხედრო ოპერაციით დასრულდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში საქართველომ დაკარგა კონტროლი ცხინვალის რეგიონზე, აღნიშნული ტერიტორია რუსეთის სამხედრო ძალებს დღემდე ოკუპირებული აქვს. ამასთან, ქვეყანას ყავს, დამატებით, 30 ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირი[3].

ამჟამად, საოკუპაციო ხაზთან ვითარება მუდმივად დაძაბულია, როგორც ოსი სეპარატისტები, ასევე რუსეთის სამხედრო ძალები აქტიურად განაგრძობენ ბორდერიზაციის[4] (მავთულხლართების, ღობეებისა და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟი) პროცესს. გარდა ამისა, რუსეთი აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს (ჰიბრიდული და საინფორმაციო ომი, ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური კრიზისი), რათა საქართველოს სუვერენიტეტი და დემოკრატიული პროცესები კვლავ ეჭვქვეშ დააყენოს.

ეს ის ფაქტი და რეალობაა, რომელიც ჩვენს უახლოეს წარსულში მოხდა და დღემდე გრძელდება. მიმაჩნია, რომ ეს ყოველივე კარგი მაგალითია იმისთვის, რათა შევძლოთ მომხდარი ფაქტებისა და მიმდინარე პროცესების სწორი ანალიზი და შეფასება. მიზეზშედეგობრივი კავშირების პოვნა, სამომავლო საფრთხეების გამოვლენა მათი ადრეულ ეტაპზევე პრევენცია, რაშიც შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციები უნდა იყვნენ ჩართული.

ვფიქრობ, ამ პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, რამდენადაც მათი აქტიური მონაწილეობით,

---

[2] ვ. გურული, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (შესწავლის მდგომარეობა. პერიოდიზაცია), თბ., 2011

[3] ომის ქრონიკა - https://civil.ge/ka/archives/tag/%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a5%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90

[4] ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტს შეადგენს, ხოლო რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ, ჯამში დაახლოებით 70 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია გავლებული. https://netgazeti.ge/news/242817/

შეძლონ ხელი შეუწყონ:

(1) ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და გაძლიერებას;

(2) ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო რესურსებზე ხელმისაწვდომობას;

(3) პირველადი ჯანდაცვის სერვისის განვითარებას;

(4) ადგილობრივ დონეზე პროპაგანდით გამოწვეული უკმაყოფილებების, შიდა ეთნიკური დაპირისპირებებისა და არასახელმწიფოებრივად განწყობილი საზოგადოებრივი მასების ქმედებების მინიმიზაციას.

ადგილობრივი თვითმმართველობის სამიზნე აუდიტორია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა უნდა იყოს, რათა არ მოხდეს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია (ახალგაზრდა თაობის გადინება). აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება (მინისტრთა კაბინეტი) ძირითადად, ეროვნულ დონეზე ოპერირებს, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობები უშალო პროცესებში არიან ჩართულები. შესაბამისად მათი როლისა და ფუნქციების დახვეწა ამ მიმართულებით, ერთის მხრივ შექმნის სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციის ეფექტიან მოდელს, მეორე მხრივ შეძლებენ სწორი ინიციატივების წარდგენას საკანონმდებლო დონეზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სათანადო დონეს.

ნაშრომის მიზნები:

1) საქართველოს საკანონმდებლო სივრცის მიმოხილვის საფუძველზე გამოიკვეთოს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საქმეში;

2) ადგილობრივი თვითმმართველობების რეგულირებისა და საქმიანობის კომპონენტების მიმოხილვა, მათი ანგარიში, სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტის ნაწილი და მისი ეფექტურობა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობასთან მიმართებაში;

3) წარმოჩენილ იქნას, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები (ოკუპაციის როლი და გავლენა);

4) სახალხო დამცველის საქმიანობის ეფექტურობა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობასთან მიმართებაში;

5) ჩატარებულ კვლევებზე და გაანალიზებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოჩენილ იქნას ის პრობლემები და გამოწვევები, რაც რეალურ წინაღობას ქმნის დღეს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის, გაივლოს ის მნიშვნელოვანი კონტურები, რომელთა გადაჭრაც ქვეყნისთვის მეტად

პრიორიტეტულია. ვაჩვენოთ, თვითმმართველი ერთეულების საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების აუცილებლობა (არსებული ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით), რათა მათი პოლიტიკა გახდეს ბევრად ეფექტური და ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებული.

კვლევის საგანი და მეცნიერული სიახლე: სამაგისტრო ნაშრომი არის ერთგვარი მცდელობა, შესწავლილ იქნას საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, გაანალიზებული და ნაჩვენები იქნას მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის საკითხი, რაც მეტად მნიშვნელოვანია არამხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად, არამედ პრიორიტეტული და აუცილებელია ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების, დემოკრატიის მშენებლობის, ქვეყნის იმიჯის განმტკიცების კუთხით საერთაშორისო ასპარეზზე. გამოიკვეთოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის განვითარების პროცესში.

საოკუპაციო ხაზთან არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ეკონომიკური და სოციალური პრობლემები დღესაც მწვავედ დგას მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული არაერთი ნაბიჯებისა. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს ეფექტური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს კუთხიდან, ასევე უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა და როლი, არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ასევე მნიშვნელოვანია:

1) შემუშავდეს მუნიციპალიტეტზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა;
2) შეიქმნას კომუნიკაციების მოქნილი მექანიზმი - სახელმწიფო ინსტიტუციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციისათვის;
3) გაძლიერდეს ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები;
4) თემატური სპეციალობების შესაბამისად, განხორციელდეს მუნიციპალიტეტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
5) გაიზარდოს საკრებულოს, მერიისა და მათში შემავალი კომისიების სხდომების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა;
6) განხორციელდეს დასახლების საერთო შეკრებების, როგორც კანონით დადგენილი მონაწილეობის ინსტიტუციონალური მექანიზმების გამოყენება;
7) გაიზარდოს, როგორც საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე საკრებულოში და მერიაში მიღებული გადაწყვეტილებების გაცემის მოქნილობა და გაუმჯობესდეს არსებული პროცედურები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევისას გამოყენებულ იქნა შემდეგი კვლევის მეთოდები: შედარებითი ანალიზი და სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებებში. განსაკუთრებით ფართოდ იქნა გამოყენებული შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები. შედარებითი ანალიზი და სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებებში, აგრეთვე გამოყენებული იქნა შედარებითი, კრიტიკული ანალიზის, ინტერვიუსა და ანკეტირების[5] მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგები გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების (მინიმუმ საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზაცია) მიმართულებით.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება განისაზღვრება მთელი რიგი თეორიული მოსაზრებითა და დასკვნებით. ნაშრომი მისცემს შესაძლებლობას მკვლევარებსა და მეცნიერებს, თემის/საკითხის უფრო სიღრმისეულად გააზრებისა და განვრცობის, ის ასევე საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, რათა მიიღონ გარკვეული ცოდნა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

[5] https://docs.google.com/forms/d/1b_q2RQxKgQQ9x8WUsxiyv3fn7Owdv365SMTbtWOXgtQ/edit

თავი 1

საოკუპაციო ხაზთან არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის თანამედროვე გამოწვევები და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობა მათი ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით

1.1. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც მმართველობის ფორმა და მისი როლი საოკუპაციო ხაზის სოფლებში მცხოვრები ადამიანების პრობლემების მოგვარების საქმეში

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თვითმმართველობა განიმარტება, როგორც საზოგადოებრივი საქმეების მოწესრიგება თავად მოქალაქეების ჩართულობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში. ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობის შექმნის უმთავრესი სუბიექტია, მისი არსებობა კი იწყება მოქალაქეთა მონაწილეობით ადგილობრივ არჩევნებში. მოქალაქეთა ამ ტიპის გაერთიანების მიზანია მიიღონ მონაწილეობა საერთო, თემისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, როგორც მოქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობის, ასევე პასუხისმგებლობის საკითხს. თვითმმართველობის წევრები ვალდებულებას იღებენ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და აღსრულებაზე. თვითმმართველობის შექმნის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზება და მუნიციპალიტეტისთვის, თემისთვის აქტუალური საკითხების ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტა. დემოკრატიული მართვის ძირითად პრინციპს სწორედ თვითმმართველობა წარმოადგენს. ამ ტიპის ორგანოს არსებობა აპრობირებული მეთოდია დასავლურ დემოკრატიებში, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს თვითმმართველობა

ამერიკულ დემოკრატიაში თამაშობს და პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობისა და სანდოობის გარანტიას უზრუნველყოფს. ალექსის დე ტოკვილისთვის ამერიკული დაბალანსებული მმართველობის ერთ-ერთი გასაღები სწორედ ძლიერი თვითმმართველობის არსებობაა, რადგან ის უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას სახელმწიფოს მართვაში და მათი მოსაზრებების გაჟღერებას სახელმწიფო მართვის დონეზე.[6]

ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ ევროპულ ქარტიას საქართველო შეუერთდა 2005 წელს, სადაც აღნიშნულია, რომ:

1. ,,ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი, მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;

2. უფლების განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს მოქალაქეთა მონაწილეობაზე ასამბლეებში, რეფერენდუმებში და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ, სადაც ეს კანონით ნებადართულია.“[7]

აღნიშნული ქარტია საფუძველია იმისა, რომ დღეს საქართველოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ადამიანებს რეალურად შეეძლოთ საკუთარი პრობლემების დღის წესრიგში დაყენება და ჰქონდეთ საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრის შესაძლებლობა. თუმცა, კანონების მიღმა, რეალურ ცხოვრებაში ხშირად ადამიანების პრობლემები ბიუროკრატიის, ნეპოტიზმის და სხვა სისტემური გაუმართაობის, ან ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობის გამო

---

[6] ტოკვილი, ალექსის. დემოკრატია ამერიკაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011.

[7] ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 10.15.1985, მუხლი 3.

მოუგვარებლად რჩება.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განმარტებულია, რომ „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხები განისაზღვრება შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.“[8] ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას არ შეუძლია ისარგებლოს თვითმმართველობის „სარგებლობით“. მათთვის, ყველა სხვა სახელმწიფო სერვისთან ერთად, არც ეს უფლებაა ხელმისაწვდომი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება მუნიციპალურ დონეზე გადაწყდეს თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ამ უფლების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში, რადგან მათ ყველაზე მეტად აწუხებთ უსაფრთხოების, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები. ოკუპაციის დასაძლევად მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებას ესმოდეს თითოეული იქ მცხოვრები მოქალაქის ხმა, რათა დროულად მოხდეს მწვავე საკითხებზე რეაგირება და გაჩნდეს ბერკეტი მათთვის პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე.

ადგილობრივ თვითმმართველობას ოკუპირებულ რეგიონების მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების ყოფის გაუმჯობესებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის მერიას გააჩნია ადმინისტრაციული ერთეულები[9] (შავშვების, მეჯვრისხევის, ტვიავის, მერეთის, დიცის, ტირძნისისა და ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეულები), რომლის შემადგენლობაში შემავალი სოფლები მდებარეობს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ. ადგილზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან

[8] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, თავი 1, მუხლი 5.3. 05,02,2014.
[9] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N9. 14.11.2017 წელი თავი III, მე-10 მუხლი.

გამომდინარე თვითმმართველ ორგანოებს ყველაზე მეტად აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ ადგილობრივების პრობლემებს და შესაბამის დაწესებულებებს მიაწვდინონ მათი ხმა, მეტიც, ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული წარმომადგენლობითი ორგანოს პირდაპირი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა[10].

გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით[11], საკრებულოს პრიორიტეტებში არ არის საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საკითხი, მეტიც, გორის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის 2019 წლის 01 სექტემბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ დოკუმენტში ნახსენებიც კი არ არის მცოცავი ოკუპაციის შედეგები და მერეთში, ნიქოზში თუ სხვა სოფლებში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ სოციალური დახმარების წესებში ცალკე პუნქტად არ გვხვდება დევნილთა ან საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებთა დახმარება განსაზღვრული ნიშნით, სპეციალურად მათთვის განკუთვნილი პრივილეგიით. მათ სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიღება მხოლოდ საქართველოს დანარჩენი მოქალაქეების მსგავსად შეუძლიათ, რაც გულისხმობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარებას, საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობას, ხანდაზმულობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიის მიღებას და ა. შ.[12]

გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო დოკუმენტის „2021 წლის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები“[13] მიხედვით, მუნიციპალიტეტში დაგეგმილია მხოლოდ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სკვერებისა და სატრენაჟორო სივრცის განაშენიანება, საქონლის დასაწყურებლების მოწყობა, ასევე მხოლოდ ერთი

---

[10] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N9. 14.11.2017 წელი თავი III, მე-11 მუხლი.
[11] იხილეთ დანართი N1. (ოფიციალური პასუხის ლინკი - https://document.municipal.gov.ge/doc)
[12] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N1, 2021 წლის 8 იანვარი, ქ. გორი.
[13] იხილეთ დანართი N2

ამბულატორიის მშენებლობა სოფელ ციცაგიანთკარში. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ვერ მოხვდა აფთიაქი, მეტი ამბულატორიული დაწესებულება, პროექტები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნის სამუშაო ადგილებს. საოკუპაციო ხაზთან ტერიტორიის სიახლოვე ბიზნესისთვის, განსაკუთრებით პანდემიურ პერიოდში, ქმნის დამატებით ბარიერს ინვესტირებისთვის. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის, გორის მერიის ან სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან სასურველი იქნებოდა შეექმნათ მიმზიდველი პირობები ბიზნესისთვის, რათა ადგილობრივ მოსახლეობას არ მოუწიოს საკუთარი საცხოვრებლის დატოვება არასათანადო სოციალური პირობების და სამუშაო ადგილების არარსებობის გამო.

1.2 საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები: სახელმწიფო პროგრამებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურობა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, რამაც ძირეულად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომები და სტრატეგიები, როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის კუთხით. მცოცავი ოკუპაცია, ბორდერიზაცია, რუსეთის ფედერაციის ძალოვანი უწყებების მხრიდან საქართველოს მოქალაქეების უკანონო გატაცებები საოკუპაციო ხაზის სოფლებიდან, ქართული ტერიტორიებიდან, რომელთა სრულფასოვანი დაცვა საქართველოს არ შეუძლია - ეს იმ პრობლემათა არასრული ჩამონათვალია, რამაც უკანასკნელი 13 წლის მანძილზე იჩინა თავი.

„საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ განმარტავს, რომ „საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით გაცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია“.[14] ამ კანონის მიზანს წარმოადგენს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსაზღვროს სამართლებრივი მოქმედებები. ტექსტის მიხედვით, კანონის ამოქმედებიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიშში[15] ვკითხულობთ, რომ საქართველოს მთავარ საფრთხეს წარმოადგენს რუსული ოკუპაცია და სახელმწიფო მიმართავს უსაფრთხოების მაქსიმალურ ზომებს ამ უკანასკნელთან საბრძოლველად.

უკანონო ბორდერიზაციის საკითხი მეტად აქტუალურია ჩვენი ქვეყნის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკისათვის. მასთან გამკლავების ერთ-ერთი გზაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გააქტიურება, გადადგას კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯები. უკანონო ბორდერიზაციის დაწყების პროცესად მითითებულია, დაახლოებით 2011 წელი, როდესაც რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაამონტაჟა ე. წ. „საზღვრის აღმნიშვნელი“ ნიშნულები, ბანერები, გაავლო მიწათხრილები და ე.წ ტრანშეები. საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან ბორდერიზაცია ოკუპაციას აქცევს არა მდგომარეობად, არამედ - პროცესად.

უკანონო საზღვრების გავლების პროცესი მძიმე გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მიზანი ცალსახად ესაა: საზოგადოების გახლეჩა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ

---

[14] „საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, 2008 წ, 28 ოქტომბერი.

[15] https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202020--.pdf

მოსახლეობასთან კავშირის გაწყვეტა. თავის მხრივ, ეს პროცესი საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. ამასთან, განსხვავებულია მოსაზრებები სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან.[16] მოქალაქეები ბორდერიზაციის პროცესში დამნაშავედ ხელისუფლებას ხედავენ, ერთნი საერთაშორისო ორგანიზაციების უმოქმედობასაც უსვამენ ხაზს, ეს კი რუსული მხარის პირდაპირ ინტერესში შედის.

ოკუპირებული ტერიტორიების ე. წ. საზღვრებთან მცხოვრები მოსახლეობა განიცდის მუდმივ ტერორს, შელახული აქვთ საკუთრების, პირადი ცხოვრების თავისუფლების, გადაადგილების, წინაპრების საფლავების მონახულებისა და რელიგიური თავისუფლებები. რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პუნქტების შეუსრულებლობის გამო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში ადამიანის უფლებების მუდმივი დარღვევა ხდება.

შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი პუნქტი, რამაც ყველაზე მწვავედ იჩინა თავი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში 2019-2020 წლებში. კერძოდ:

(1) უკანონო ბორდერიზაციის შედეგად გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა რეგულარულად კარგავს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მეურნეობა ამ რეგიონებში შემოსავლის ძირითადი წყაროა, ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე მიწების დაკარგვა მძიმე კვალს ტოვებს;

(2) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში ხელყოფილია სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება. მიმდინარეობს დევნა სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ;

(3) არსებობს არაადამიანური მოპყრობისა და წამების შემთხვევები;

(4) ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ჯანდაცვასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე;

(5) ქალთა უფლებების შელახვა და მათ მიმართ ძალადობა, დისკრიმინაცია ოჯახში და საზოგადოებაში.

---

[16] საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი, ლევან კახიშვილი

ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევა ადგილზე განხორციელდეს ეფექტური კონტროლი მოქალაქეების ძირითადი უფლებების დაცვის კუთხით საკმარისი არ არის. ერთადერთი კონტროლის განმახორციელებელი სუვერენი, რუსეთის ფედერაცია, არ ცდილობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გააუმჯობესოს და დაიცვას ადამიანების კერძო საკუთრება, მისცეს მათ ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე და სახელმწიფო სერვისებზე, რაც მძიმე სურათს ქმნის, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის, ასევე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. განსაკუთრებულად დამძიმდა ვითარება პანდემიის პერიოდში, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მასთან ახლოს მდებარე ქართულ სოფლებში თითქმის შეუძლებელია სიტუაციის ეფექტური მართვა და ჯანდაცვის სერვისების მიწოდება მოსახლეობისთვის.

ეფექტური მართვის განუხორციელებლობის მაგალითია ახალგორის ჩაკეტვის ფაქტი, რომელიც ნაწილობრივ დაემთხვა პანდემიურ ვითარებას. 2019 წლის სექტემბერში ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე. წ. ხელისუფლებამ ჩაკეტა სასაზღვრო გამშვები პუნქტები. ადგილზე ვითარება უკიდურესად დამძიმდა. რადიო თავისუფლების ინფორმაციით ერთი წლის მანძილზე 14 ადამიანი გარდაიცვალა იმის გამო, რომ მათ ვერ მიიღეს სათანადო სამედიცინო დახმარება და მათ ოჯახებს უარი ეთქვათ პაციენტების თბილისის კლინიკებში გადმოყვანაზე. ადგილობრივები ყვებიან, რომ საკვები პროდუქტები მათთან, საქართველოს ფასებთან შედარებით, 5-ჯერ ძვირი ღირს. „მაღაზიები თითქმის მთლიანად ცარიელია და რა პროდუქტებიც შემორჩენილია, მასაც „ცეცხლი“ უკიდია. აქაურ მოქალაქეების თავი, საკუთარ ბაღებში მოწეული ხილ- ბოსტნეულით გააქვთ. ზოგს ძროხა ჰყავს, ზოგს ცხვარი, ქათამი და ასე გააქვთ თავი. დაბაში ხელფასი მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ. მოხუცები კი სხვადასხვა პროდუქტს ვალით ყიდულობენ

და ელოდებიან, როდის მიიღებენ პენსიას, რომ ეს ვალები დაფარონ. უმძიმესი მდგომარეობაა დაბაში, ახლა კიდევ შესაძლოა ბაღჩებში მოწეული მოსავლით თავის გატანა და შიმშილთან გამკლავება, მაგრამ ზამთარში რა იქნება არავინ იცის. ალბათ, ყველა ეცდება, რომ აქაურობა, ჩაკეტილი გზის მიუხედავად, როგორმე დატოვოს და ნათესავებთან წეროვანში წავიდეს, ასეთი შემთხვევები უკვე არის, როცა ადამიანები გარბიან შემოვლითი გზებით." - უყვება „რადიო თავისუფლებას" ანონიმური ადგილობრივი მცხოვრები.[17]

2019 წელს, ქართული მხარის და სამხრეთ ოსეთის ე. წ. ხელისუფლებას შორის ურთიერთობების დაძაბვამ „ჩორჩანას საგუშაგოს გამო", 2008 წლის შემდეგ ყველაზე დიდი კრიზისი გამოიწვია, რომელიც ყველაზე მძიმედ ახალგორის მოსახლეობაზე აისახა, ვინაიდან, იქ მაცხოვრებლები იზოლირებული იყვნენ არა მხოლოდ საქართველოსგან, ასევე სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისგანაც, რაც, კორონა ვირუსის არსებობასთან ერთად, დამატებით კრიზისს ქმნიდა.[18]

აუცილებელია საქართველომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ოკუპირებული რეგიონების და ე. წ. საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის დასაცავად. უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოების ზომები, რათა მოხდეს პრევენცია სასაზღვრო სოფლებიდან ადამიანების გატაცებისა, გაიზარდოს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა რეგიონში მიმდინარე საკითხებთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა, რათა გახდეს პროაქტიური და ძირითადი რისკების საპასუხოდ შემუშავდეს მოქნილი და რეალობასთან ადაპტირებული სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათი

---

[17] რადიო თავისუფლება. ახალგორის ჩაკეტვიდან ერთი წელი გავიდა. 2020 წელი, 6 სექტემბერი. https://www.radiotavisupleba.ge/a/ახალგორის-ჩაკეტვიდან-ერთი-წელი-გავიდა/30823752.html

[18] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. Covid-19-ის მონიტორინგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, 26.06.2020. http://www.democracyresearch.org/geo/329

განხორციელების გზებსა და მექანიზმებს, ნათქვამია, რომ საქართველოს მთავარ გამოწვევას ოკუპაცია წარმოადგენს. „საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ქვეყნის გასამთლიანებლად საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების უზრუნველყოფა, ქვეყნის დეოკუპაციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა, ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევა.“[19] აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ გამოყო რამდენიმე პუნქტად საგარეო პოლიტიკის მიზნები, რაზეც უახლოესი წლების განმავლობაში დაფუძნებული იქნება ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგია. მათ შორისაა:

(1) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების მაქსიმალურად შეკავება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მდგრადი მშვიდობის უზრუნველყოფა;

(2) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება;

(3) ეთნიკური წმენდის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნება;

(4) საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საქართველოს მოქალაქეებს შორის ურთიერთობის აღდგენა;

(5) საერთაშორისო არენაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება;

[19] 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, თავი 3.

(6) კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის ხელშეწყობა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების გზით.[20]

საქართველოს ხელისუფლებას გაცხადებული გეგმის მიუხედავად კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება საოკუპაციო რეჟიმთან და რუსეთის ჰიბრიდულ ომთან წინააღმდეგობის გასაწევად. სახეზეა არაერთი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტი, რომელზეც ქართული მხარე საერთაშორისო მექანიზმებით სათანადოდ არ რეაგირებს, არ შეაქვს სარჩელები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, არ აყენებს მსოფლიო დღის წესრიგში, არ მიმართავს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების გაძლიერების ზომებს. საგარეო პოლიტიკის ჯეროვნად განუხორციელებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჯო ბაიდენისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი არ განხილულა.[21]

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული საერთოდ არ არის ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე და სხვა სოფლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება.[22] იქ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები მიბმულია სახელმწიფო დაფინანსების სხვადასხვა პროგრამებზე. მნიშვნელოვანია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან გაძლიერდეს გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის პროგრამები და ბიუჯეტურ ნაწილში ცალკე პუნქტად იქნეს გათვალისწინებული საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები.

მეტი თვალსაჩინოებისათვის მიმოვიხილავთ საოკუპაციო ხაზთან მდებარე

---

[20] 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, თავი 3.

[21] რადიო თავისუფლება, ბაიდენ-პუტინის მესიჯები ჟენევის სამიტის წინ, 2021 წლის 15 ივნისი. - https://www.radiotavisupleba.ge/a/ბაიდენ-პუტინის-მესიჯები-ჟენევის-სამიტის-წინ/31309615.html

[22] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N54 24.12.2020 წელი. გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, მე-13 მუხლი, ორგანული კოდი - 06 02. იხილეთ დანართი N3

რამდენიმე სოფელს და იქ არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის კვლევა ბოლო წლებში არ ჩატარებულა. 2014 წლის მონაცემებით სოფელ გუგუტიანთკარში 144, ზარდიანთკარში 28, ხოლო ერგნეთში 457 ადამიანი ცხოვრობს[23].

სოფელი ზარდიაანთკარი

სოფელ ზარდიაანთკარის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მძიმეა. სოფელზე კონტროლი საქართველოს ხელისუფლებამ 2012 წელს აღადგინა, ხოლო საკუთარ სახლებში დაბრუნებულ მოსახლეობას დაკარგული საძოვრები, განადგურებული ინფრასტრუქტურა და გადამწვარი უძრავი ქონება დახვდათ. სოფლის ერთ-ერთი მოსახლე 2012 წლიდან დღემდე უშედეგოდ ითხოვს სახლის გადახურვას. მას კომპენსაციის სახით 2009 წელს გარკვეული თანხა გადასცეს, თუმცა დევნილმა ოჯახმა ის საკუთარი საჭიროებების, ყოველდღიური ხარჯების დასაფარად დახარჯა, სახლის აღდგენას კი იმ პერიოდში ფიზიკურად ვერ შეძლებდა, რადგან ტერიტორიას რუსული მხარე აკონტროლებდა. მსგავს მდგომარეობაში სოფლის არაერთი მცხოვრებია ჩავარდნილი. უმრავლესობას სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები ან გამოუსადეგარია, ან ოკუპირებულ ტერიტორიებშია მოქცეული, რომელსაც ადგილობრივები ვერ იყენებენ, ვინაიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქცია ვერ ვრცელდება.

სახლების დაზიანება ერთადერთი პრობლემა არ არის ზარდიაანთკარის მოსახლეობისთვის. მათ ყოველდღიურ შიშში უწევთ ცხოვრება, რადგან სოფლის სიახლოვეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე პერმანენტულად წვრთნები მიმდინარეობს და მათ მუდმივად ესმით სროლისა და აფეთქებების ხმა, რაც დაუცველობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. აღნიშნულ სოფელში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ქართული პოლიციის დანაყოფები არიან წარმოდგენილნი, რომელებიც უსაფრთხოების ამოცანებს ასრულებენ. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ

[23] http://census.ge/ge/results/census1/migration

პოლიციის დანაყოფის არსებობის გარეშე საკუთარ საცხოვრებელს თავადაც დატოვებდნენ.

სოფელში ერთი სკოლის მოსწავლე და ორი სტუდენტია. ყველა მათგანის განათლებას სახელმწიფო აფინანსებს, ხოლო მოსწავლეს ტრანსპორტი ემსახურება მერეთის სკოლაში გადაადგილებისთვის. ამასთან, ზარდიაანთკარი მაღალმთიანი სოფლების ზონაშია შეყვანილი. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოსახლეობა შეღავათებით სარგებლობს, როგორიცაა ზამთარში გაზმომარაგების 200 ლარიანი ვაუჩერი და ელექტრო ენერგიის სუბსიდირება. ჩამოთვლილი დახმარებების მიუხედავად, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მაინც მძიმეა.[24]

სოფელი გუგუტიაანთკარი

რთულია ვითარება სოფელ გუგუტიანთკარშიც. აქაურმა მოსახლეობამ ომის შედეგად დაკარგა საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც, ხშირად, მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. რამდენიმე მოსახლეს ნაკვეთი საოკუპაციო ხაზთან აქვს, თუმცა მიახლოებას გატაცების შიშით ვერ ბედავს. საძოვრების უდიდესი ნაწილი საოკუპაციო ხაზის მიღმა მოექცა. ოჯახები მსხვილფეხა პირუტყვის საბალახოდ გაშვებას ვერ ახერხებენ, მათი მოშენებაც პრობლემად იქცა, რადგან თუ საქონელმა შემთხვევით ე.წ. საზღვარი გადაკვეთა, დაბრუნება, ცხადია, შეუძლებელია.

გუგუტიანთკარი, ზარდიაანთკარის მსგავსად, მაღალმთიანი სოფლების სიაშია შეყვანილი და მოსახლეობა სახელმწიფოსგან გარკვეულ დახმარებას იღებს. ბევრი ოჯახი დღემდე უშედეგოდ ითხოვს ტყვიებისგან დაზიანებული სახურავების და სახლის კედლების აღდგენას. სოფელში არ ფუნქციონირებს ბაღი, არ არის სკოლა. დაწყებითი სკოლის შენობაში ომის შედეგად დაზარალებული ოჯახი გადავიდა

[24] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები, 11.12.2019. - http://www.democracyresearch.org/geo/219

საცხოვრებლად, ბავშვებს განათლების მიღება მერეთის სკოლაში უწევთ.[25]

სოფელი ერგნეთი

სოფელ ერგნეთში არსებული ვითარება თითქმის იდენტურია ზემოთნახსენებ სოფლების მდგომარეობისა. იქ დღეს, დაახლოებით, 726 მკვიდრია, რაც მოსახლეობის ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე დგინდება. კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში ბევრი მოსახლე დაბრუნდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, თუმცა ვითარება არც თუ სახარბიელო დახვდათ. მნიშვნელოვანი პრობლემაა განათლებაზე და პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობაა. 2008 წელს ერგნეთში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აშენდა, თუმცა პანდემიურ ვითარებაში სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა კომპიუტერსა და ინტერნეტზე და ვერ ახერხებდნენ გაკვეთილებზე ონლაინ რეჟიმში დასწრებას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში სკოლამდელი ასაკის ბევრი აღსაზრდელია, არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი.

მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთი მრავალრიცხოვანი სოფელია, არ არის აფთიაქი, რეგულარული სურსათისა და პურის მიმწოდებელი ობიექტი. პანდემიის პირობებში, როდესაც აიკრძალა სატრანსპორტო მიმოსვლა ქალაქებს შორის, მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესდა. სოფელში ბევრი ადამიანი საჭიროებს რეგულარულ წამლებს, შესაბამისად, მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მედიკამენტების შეძენის შესაძლებლობა. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ პირობებშიც ბევრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა არსებობდა მათ წინაშე, თუმცა პანდემიამ მათი ყოველდღიურობა უკიდურესად მძიმე გახადა.[26]

---

[25] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები, 11.12.2019. - http://www.democracyresearch.org/geo/219

[26] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები (სოფელი-ერგნეთი). 04.05,2020 http://www.democracyresearch.org/geo/293

თავი - 2

უკანონო ბორდერიზაციის პროცესი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები, რისკები და გამოწვევები

2.1 ოკუპაციის როლი და გავლენა ქ. გორის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულებში (ბორდერიზაციის შედეგები: ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მათზე რეაგირების არსებული მექანიზმები)

უკანონო ბორდერიზაციის შედეგად ქ. გორის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებლები რეგულარულად კარგავენ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს, საძოვრებს, საკარმიდამო მიწებს, წინაპრების საფლავებს, არ აქვთ შესაძლებლობა ილოცონ ტაძრებში და საკუთარი სახელმწიფოს მიწაზე ე. წ. საზღვრის საშუალებით გადაადგილდებიან. ამასთან, სეპარატისტული რეჟიმის მხრიდან მუდმივად ირღვევა ადამიანების უფლებები, რაზეც საქართველოს მთავრობის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტიურად საუბრობენ. სახეზეა წამების, არაადამიანური მოპყრობის და საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მკვლელობის საქმეები, რომელთა გამოძიება არ და ვერ ხდება.

ბორდერიზაციის პარალელურად საოკუპაციო ხაზთან უკანონო დაკავებების მანკიერი პრაქტიკის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის, ქალები და ბავშვები. ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას ცხოვრება ყოველდღიურ შიშსა და ტერორში უწვეთ. ვითარებას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია სად გადის ე. წ. ადმინისტრაციული საზღვარი, რაც უკანონო დაკავებების მაპროვოცირებელი ხდება. უმეტეს შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეებს ადმინისტრაციული წესით აკავებენ და გარკვეული თანხის სანაცვლოდ

ათავისუფლებენ, თუმცა ბოლო წლებში გახშირდა სისხლის სამართლის წესით დაკავების ფაქტებიც. ამას ხშირად მოყვება წამების, არაადამიანური მოპყრობის და მკვლელობის შემთხვევები.

2019 წლის სექტემბერში საოკუპაციო რეჟიმმა თვითნებურად ჩაკეტა ე. წ. გამშვები პუნქტი, რამაც რუსული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვია. მათ არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, რომელსაც ქართული მხრიდან იღებენ და გადაადგილების შეზღუდვის გამო, იყო ავადმყოფების გარდაცვალების ფაქტებიც. [27]

რუსული მხარის მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაცია მიმდინარეობს. 2019 წლის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშში გამოყოფილია გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობისა და დავით ბაშარულის გაურკვეველ საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმეები. 2020 წელს საოკუპაციო რეჟიმის ტყვეობაში აღმოჩნდა ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო აქტივისტების ძალისხმევით გათავისუფლდა. დღემდე არაერთი ქართველი რჩება ცხინვალის იზოლატორში და უკანონოდ იხდის სასჯელს საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის გამო. მათ შორის ერთ-ერთია ზაზა გახელაძე. მას ოკუპანტებმა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2020 წლის 28 აგვისტოს, სავარაუდოდ, წამების შედეგად გარდაიცვალა საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან ბრალდებული ინალ ჯაბიევი. ვითარებამ სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია.

2018 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის შესახებ“[28]. ამ ფაქტს წინ უძღოდა საოკუპაციო

[27] 12 წელი აგვისტოს ომიდან და ომის მძიმე შედეგები, 10 აგვისტო, 2020 წელი, GCICC http://gcicc.ge/ka/news/45/12-tseli-agvistos-omidan-da-omis-mdzime-shedegebi

[28] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის დადგენილება №339

რეჟიმის მიერ საეჭვო ვითარებაში არაადამიანური მოპყრობის შედეგად არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალება. ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია მოიცავს 1991 წლიდან იმ პირების ჩამონათვალს, ვინც ოკუპირებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში საქართველოს მოქალაქეების მიმართ მძიმე დანაშაულების ჩადენაში არიან ბრალდებულნი. საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს პარტნიორ ქვეყნებს დაუწესონ ეკონომიკური და საერთაშორისო სანქციები სიაში შეყვანილ პირებს, რათა მოხდეს დამნაშავეების ჯეროვნად დასჯა.[29]

2020 წლის 22 ივნისს ადმიანის უფლებათა საბჭომ ქალაქ ჟენევაში მიიღო რეზოლუცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის განცხადებით, რეზოლუციაში ადამიანის უფლებათა საბჭო გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ეთნიკური ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ დაფიქსირებული სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის, სიცოცხლის უფლების დარღვევის, თავისუფლების აღკვეთის, უკანონო დაკავებებისა და გატაცებების, საკუთრების უფლებისა და ჯანდაცვის უფლების დარღვევის, ასევე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების მიზანმიმართული ნგრევის პრაქტიკის განახლებასთან დაკავშირებით და ეთნიკური ქართველების სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე დაუსჯელობის გამო.[30]

2021 წლის 21 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ და რუსული მხარე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დამნაშავედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ექვსი მუხლის დარღვევაში ცნო:

(1) სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი);

---

[29] საქართველოს ხელისუფლებამ ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში 33 პირი შეიყვანა, civil.ge, 26.06.2018 https://civil.ge/ka/archives/245075

[30] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2020 წელი. https://mfa.gov.ge/News/gaeros-adamianis-uflebata-sabchom-saqartvelos-okup.aspx

(2) წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი);

(3) თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი);

(4) პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი);

(5) საკუთრების დაცვა (1 დამატებითი ოქმის 1 მუხლი);

(6) გადაადგილების თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).[31]

ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა უმნიშვნელოვანესი რამ, რომ რუსეთი ახორციელებდა ქართველების ეთნიკურ წმენდას. დაზარალებულთა კომპენსაციის საკითხი სასამართლომ მომდევნო წელს უნდა განიხილოს. პოზიციების წარსადგენად მხარეებს მიცემული აქვთ ერთწლიანი ვადა. ეს გადაწყვეტილება ქართული მხარისთვის უმნიშვნელოვანეს წარმატებას წარმოადგენს, რადგან საერთაშორისო დონეზე კიდევ ერთხელ გაჟღერდა საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, რაც რეალური შედეგების მიღების იმედს აჩენს.

2021 წლის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშში ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად დასახელებულია რუსული ოკუპაცია და მუდმივი ანექსია, რის პირობებშიც საქართველოს მოქალაქეებს უწევთ ცხოვრება. ოფიციალური მოსკოვი განაგრძობდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მილიტარიზაციას, სამხედრო წვრთნებს, ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის საქართველოსთან გაუცხოების პროცესს. პანდემიის პირობებში უფლებების შეზღუდვის ფონზე მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოიქმნა ეკონომიკური კრიზისი, გაჩნდა ნაღდი ფულის დეფიციტი, რაც ყველაზე მტკივნეულად მოსახლეობის ყოფაზე აისახა, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა ჩაკეტილი იყო საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრები.[32]

---

[31] რადიო თავისუფლება, სტრასბურგის სასამართლო: საქართველომ რუსეთს მოუგო 2008 წლის ომთან დაკავშირებული საქმე. 2021 წლის 21 იანვარი. https://www.radiotavisupleba.ge/a/31061360.html

[32] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2021 წელი.

2.2 რუსეთის ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ და ე.წ. ბორდერიზაცია Covid-19-ის ფონზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ფედერაციამ დაკარგა გავლენები კავკასიის რეგიონში. რუსეთის გაცხადებული პოლიტიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ ის არ დაუშვებს ამერიკისა და ევროკავშირის გავლენების გაძლიერებას მის საზღვრებთან ახლოს, სწორედ ამიტომ, კრემლის პროპაგანდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მუშაობს ადგილობრივ საზოგადოებებში განხეთქილებისა და კონფლიქტების გასაღვივებლად. რუსეთს, მის შემადგენლობაში მყოფი ყოფილი რესპუბლიკების ტერიტორიებზე ე. წ. ნაღმები აქვს ჩადებული, რაც გულისხმობს კონფლიქტებს, როგორც ეროვნულ, ასევე ეთნიკურ ნიადაგზე, რაც კარგად ჩანს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ყირიმში, ყარაბაღში და ა.შ. დღემდე მწვავე, მოუგვარებელ საკითხად ქცეულ კონფლიქტებში.

21-ე საუკუნეში კრემლის იარაღი საომარ ვითარებებთან ერთად ინფორმაციაც გახდა. რუსულ პროპაგანდაში აქტიურად მონაწილეობენ სამიზნე ქვეყნების პოლიტიკოსები, მედიასაშუალებები, ე. წ. ტროლები და ბოტები. საქართველოში კრემლის საინფორმაციო ომი გააქტიურდა 2013 წლიდან, როდესაც რამდენიმე ინტერნეტ ტელევიზიამ, ბეჭდურმა გამოცემამ, ვებ გვერდმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ, პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს ანტი დასავლური გზავნილების გავრცელება.[33]

2013 წელს რუსული პროპაგანდა საქართველოს წინააღმდეგ განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, როდესაც ქალაქ ვილნიუსში გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტზე გაფორმდა საქართველო-ევროკავშირს ასოცირების შეთანხმების პარაფირება[34]. საქართველოსთვის, აღნიშნული შეთანხმება

---

[33] პოლიტიკის დოკუმენტი: კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ, პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, თბ., 2016 წლის 22 აგვისტო.

[34] https://mfa.gov.ge/News/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%

ევროკავშირთან დაახლოების ძირითადი დოკუმენტი გახდა, რომელმაც ქვეყნისთვის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულება მოიცვა, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტები. შეთანხმებამ ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალი დონე მოიცვა, რომ მისი ეფექტიანი განხორციელებით, ფაქტობრივად, შეუქცევადი გახადა საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესი. უფრო კონკრეტულად კი „შეთანხმებაში გამოიხატა სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხს, როგორც მხარეთა შორის, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან, პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთ მთავარ თემას (აღსანიშნავია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს მხრიდან მომლაპარაკებელი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად)“[35].

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო ვერ შეძლებს გაუმკლავდეს რუსულ პროპაგანდისტულ ომს, მოსახლეობაში შემცირდება ევროპული და ჩრდილო ატლანტიკური კურსის მხარდაჭერა. კრემლის პროპაგანდა, სინამდვილეში, საკმაოდ ეფექტურია, რადგან რუსული იდეოლოგიური მანქანა აქტიურად აკვირდება და სწავლობს საზოგადოების ანტიდასავლურ განწყობებს და შემდეგ სამიზნე ქვეყნის წინაღმდეგ იყენებს მას. პროპაგანდას მიზანმიმართული სახე აქვს და აჟღერებს იმ

E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90-(1).aspx

[35] საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი - https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement/#1

გზავნილებს, რაზეც პატარა ერის მოქალაქეები, ეთნიკურად მცირერიცხოვანი მოსახლეობა სენსიტიურია.

ძალიან ხშირად კრემლის ინფორმაციული ომის შედეგად პარალიზებულია ქვეყნის დღის წესრიგი, რადგან რუსეთის გავლენები პოლიტიკურ სპექტრზეც ვრცელდება. ეს პროცესი საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს. ამასთან, საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა. ხშირად, რუსული პროპაგანდა მიმართულია რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ, ქსენოფობიის გაძლიერებისკენ. ამით სუსტდება სამოქალაქო ერთიანობა რთულდება ეთნიკური, რელიგიური, გენდერული უმცირესობების საზოგადოებასთან ინტეგრაცია.

ინფორმაციული ომის ერთგვარ იარაღს უკანონო ბორდერიზაციის პროცესიც წარმოადგენს. უკანონო საზღვრების გავლების პროცესი მძიმე გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მიზანი ცალსახად საზოგადოების გახლეჩა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან კავშირის გაწყვეტაა. თავის მხრივ, ეს პროცესი საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. ამასთან, განსხვავებულია მოსაზრებები სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან. მოქალაქეები ბორდერიზაციის პროცესში დამნაშავედ ხელისუფლებას ხედავენ, ერთნი საერთაშორისო ორგანიზაციების უმოქმედობასაც უსვამენ ხაზს, ეს კი რუსული მხარის პირდაპირ ინტერესში შედის. რუსეთის პირდაპირ ინტერესს ქართულ საზოგადოებაში ცენტრალური ხელისუფლებისა და დასავლეთის უძლურების დანერგვაა, რადგან ოკუპირებული ტერიტორიების ე. წ. საზღვრებთან მცხოვრები მოსახლეობა განიცდის მუდმივ ტერორს, შელახული აქვთ საკუთრების, პირადი ცხოვრების თავისუფლების, გადაადგილების, რელიგიური თავისუფლებები.[36] რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პუნქტების შეუსრულებლობის გამო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში ადამიანის უფლებების მუდმივი დარღვევა ხდება, თუმცა

[36] ლ. კახიშვილი, ბორდერიზაცია საქართველოში: შესაძლებელია თუ არა რუსეთის პოლიტიკასთან გამკლავება. https://netgazeti.ge/news/242817/

საერთაშორისო დონეზე საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების გარდა თითქმის არაფერი ხდება, მათ შორის არც ეკონომიკური სანქციების დაწესება დასავლეთის მხრიდან. ქართულ საზოგადოებაში ეს პროცესი ხშირად იწვევს უნდობლობას და აჩენს დაუცველობის განცდას. ამ ვითარებაში კი გაძლიერებული პროპაგანდა მეტ მოლოდინებს აჩენს საზოგადოებაში რუსეთის მიმართ, თითქოს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დათბობით ქართული მოსახლეობისთვის აქტუალური პრობლემები მოგვარდება.

საქართველოში კრემლის პროპაგანდისტული გზავნილების ძირითადი მიმართულებებია:

(1) ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის დისკრედიტაცია - ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის და მიღწევების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა. NATO-ს შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება და საქართველოს NATO-სთან დაახლოების პროცესის უპერსპექტივობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ამ პროცესის საფრთხის შემცველად წარმოჩენა;

(2) დასავლური ღირებულებების დაკნინება - მათი წარმოჩენა, როგორც შეუთავსებელი ქართულ კულტურასთან და ტრადიციებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა რუსული პროპაგანდის ჰომოფობიური ხასიათი. ამასთანავე, ხდება საქართველოსა და რუსეთის საერთო ისტორიული თუ კულტურული მახასიათებლების (მაგალითად, მართლმადიდებლური ქრისტიანობის) წინ წამოწევა და მათი დასავლური ღირებულებების საპირწონედ წარმოჩენა;

(3) საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მიმართ ნეგატიური განწყობების გაღვივება - განსაკუთრებით თვალშისაცემია ანტიამერიკული და ანტი-თურქული გზავნილების გავრცელება. კრემლის პროპაგანდისტების მიერ აშშ გამოცხადებულია, როგორც

გლობალური დესტაბილიზაციის წყარო, რომელიც საქართველოს განიხილავს არა როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, არამედ როგორც საშუალებას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებისთვის. თურქეთის რესპუბლიკა წარმოჩენილია ძირძველი ქართული მიწების მიმტაცებლად და საფრთხედ. კრემლის „მესიჯ-ბოქსში“ NATO-ს წევრ თურქეთზე, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოზე აპელირება, აძლიერებს რუსეთის „ანალოგიური“ ქმედებების „ლეგიტიმურობის“ იდეას.

(4) შეთქმულების თეორიების გავრცელება - ასევე არის კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი თემატური მიმართულება საქართველოში. ესაა შეთხზულ ჰიპოთეზათა ერთობლიობა, რომელიც რიგ მოვლენებს წარმოაჩენს, როგორც დასავლური სახელმწიფოების ან ინსტიტუტების შეთქმულების დამანგრეველ და საფრთხის შემცველ შედეგს. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ თეორია, რომლის თანახმად აშშ იყენებს რიჩარდ ლუგარის სახ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს (ლუგარის ცენტრი) ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.[37]

რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია არაერთხელ გამხდარა რუსული პროპაგანდის და დეზინფორმაციის სამიზნე. ამერიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია საქართველოში 2011 წელს გაიხსნა, ამერიკის ხელისუფლების დაფინანსებით. რუსეთის ხელისუფლებაში არაერთხელ გაკეთდა განცხადება ლუგარის ცენტრის საქმიანობის შესახებ. რუსულ მხარეს აქვს კითხვები ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით და მოითხოვს რუსი მეცნიერების დაშვებას ლაბორატორიაში, რათა ადგილზე დეტალურად შეისწავლონ, რა მიზნებს ემსახურება ამ ცენტრის არსებობა ფედერაციის საზღვრებთან ახლოს. მათი მხრიდან არსებობს ეჭვები ლუგარში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბიოლოგიური იარაღის წარმოების შესახებ. ცენტრს საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული

[37] კრემლის საინფორმაციო ომი - პოლიტიკის დოკუმენტი, IDFI, 2016.

ცენტრი მართავს. მისი შექმნის მიზანი დაავადებათა გამოვლენისა და ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვა იყო. ლუგარის ლაბორატორიის არსებობა საქართველოსთვის გამართლება აღმოჩნდა კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში, ეპიდემიოლოგიური ვითარების წარმატებით მართვაში გადამწყვეტი სწორედ ამ ცენტრის არსებობა აღმოჩნდა.[38] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2019 წლის ანგარიშში, სადაც საშინაო და საგარეო საფრთხეები იქნა განხილული, აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია აქტიურად იყენებს ლუგარის ლაბორატორიას დეზინფორმაციის გასავრცლებლად. „კვლევით ცენტრზე მასშტაბური საინფორმაციო თავდასხმები, ისევე, როგორც ვაქცინაციისა და ჯანდაცვის სხვა ეროვნული პროგრამების წინააღმდეგ წარმოებული პროპაგანდა, სხვადასხვა გამოწვევის გარდა, პირდაპირ საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მის უსაფრთხოებას“[39].

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რუსული პროპაგანდისტული მანქანის სამიზნე ჯგუფები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენებზეა გათვლილი. ძირითადი ნაწილი, საბჭოთა პერიოდში დაბადებული მოსახლეობაა, რომელიც ადვილად ექცევა პროპაგანდისტული ზემოქმედების ქვეშ. მათ დიდ ნაწილს აქვს ქვეცნობიერი მზადყოფნა ამ პროპაგანდის რეალობად აღქმისა, ვინაიდან საბჭოურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მქონე წარსულის მიმართ ნოსტალგიური გრძნობები მაღალია[40]. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული ომის სამიზნეებში არიან ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები - საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სახით, რომლებიც ხშირად ხდებიან ამ ბინძური პროპაგანდის უნებლიე მსხვერპლნი, ვინაიდან მათზე, იმ წლებისა და გარემოებების შეხსენება, თუ „რა კარგად ცხოვრობდნენ წარსულში“ - მუშაობს. განსაკუთრებით მოწყვლადი

---

38 https://factcheck.ge/ka/story/38390-როგორ-იყენებს-კრემლი-კორონავირუსს-დეზინფორმაციის-გასავრცელებლად

39 https://civil.ge/ka/archives/347179

40 ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ, გიორგი თარგამაძე, 2014 წელი - https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/32-expert-opinion-geo.pdf

ჯგუფი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობაა, ვინაიდან ყველაზე კარგად მათ ახსოვთ ე.წ ერგნეთისა და ცხინვალის ბაზრობების „ბენეფიტები“. აგრეთვე ის პერიოდი, როდესაც მათთვის როკის გვირაბის გავლით ღია იყო რუსული ბაზარი.

2.3 სახალხო დამცველის საქმიანობა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა

სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში ცენტრალური საკითხია ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება. სახალხო დამცველების მხრიდან ხაზგასმულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი ყველა მოქალაქის მიმართ თანაბარი უფლებებით და ხელმისაწვდომობით სარგებლობისა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს სახელმწიფო სერვისებითა და პროგრამებით. ამის ხელშეწყობა უნდა მოხდეს იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და სახელმწიფო ვალდებულია მხარი დაუჭიროს მათ. დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაახლოებით 260 ათასი პირი ცხოვრობს, მათ შორის 1000-მდე ახალგორის, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა.[41]

„სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ, გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული თვითნებური შეზღუდვები უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივების მიერ სხვადასხვა უფლებით

[41] აქ სახალხო დამცველი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ მონაცემებს, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს.

სარგებლობაზეც, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების უფლებით სარგებლობაზე, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოწვევას წარმოადგენს პატიმართა ცემა, არასათანადო მოპყრობა და წამება დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში, ასევე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების რეალიზება. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება იზღუდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გალისა და ახალგორის ყველა სკოლაში დაწყებით კლასებში სრულად არის აკრძალული ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო ქართული ენა, როგორც უცხო ენა, მხოლოდ სკოლების ნაწილში ისწავლება.“[42] - ნათქვამია სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში.

უფლებების დარღვევის ფაქტები უფრო მძიმეა, ვიდრე მას რომელიმე ანგარიშში ვკითხულობთ. საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან გაცილებით მეტი ადამიანის თავისუფლება იზღუდება, ვიდრე ქართულ მხარეს აქვს ინფორმაცია. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტიც, რომ ბევრ ადამიანს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ხელს უშლის სახელმწიფო სერვისებით სარგებლობაში.

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „2019-2020 წლებში ე. წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“ განხილულია ის მძიმე პროცესები, რაც ადმინისტრაციული საზღვრის კვეთის მიზეზით შეიქმნა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის. ე. წ. გამშვები პუნქტით ჯანდაცვის, საპენსიო და ჰუმანიტარული სერვისებით ყოველდღიურად დაახლოებით 400 ადამიანი სარგებლობდა, თუმცა, განსაკუთრებით კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში, ჩაკეტვის შედეგად ეს რიცხვი 20-30-მდე შემცირდა. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა მძიმე კრიზისი, რასაც მოწმობს ათეულობით ადამიანის

[42] საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში, 2019.

გარდაცვალების ფაქტი. სახალხო დამცველი ყურადღებას ასევე ჯანდაცვის სისტემის სავალალო მდგომარეობაზე ამახვილებს, რაც გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის.[43]

ანგარიშში ცენტრალური საკითხია უკანონო დაკავებებისა და ბორდერიზაციის პროცესი. ცხინვალის იზოლატორში მუდმივად ირღვევა პატიმრების უფლებები, რაც გამოიხატება არაადამიანური მოპყრობით, ცემით, წამებით. ძირითადად, ადამიანებს ე. წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით აკავებენ, პატიმრობა 2-3 დღე გრძელდება და ჯარიმის გადახდის შემდეგ ისინი თავისუფლდებიან. ბოლო პერიოდში მარიონეტულმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საქმეების წარმოება დაიწყო საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ, მათ შორის არიან ვაჟა გაფრინდაშვილი, გენადი ბესტაევი, ირაკლი ბებუა, ზაზა გახელაძე, რამაზ ბეღელური, ხვიჩა მღებრიშვილი, მირიან თაზიაშვილი და სხვანი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკუთარი მოქალაქეების დასაცავად საქათველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მოლაპარაკებების მექანიზმი ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების დაშვების უზრუნველსაყოფად.[44]

2020 წლის 28 იანვარს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ სტრასბურგში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ დუნია მიატოვიჩთან. შეხვედრაზე განიხილებოდა ახალგორის გამშვები პუნქტის ჩაკეტვის საკითხი და ის მძიმე ვითარება, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნა საქართველოსგან მოსახლეობის იზოლაციის შემდგომ. ნინო ლომჯარიამ

---

[43] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“ https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/spetsialuri-angarishi-2019-2020-tslebshi-ets-gamshvebi-punktebis-chaketvis-gavlena-okupirebul-teritoriebze-mtskhovrebi-mosakhleobis-uflebriv-mdgomareobaze

[44] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“ https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/spetsialuri-angarishi-2019-2020-tslebshi-ets-gamshvebi-punktebis-chaketvis-gavlena-okupirebul-teritoriebze-mtskhovrebi-mosakhleobis-uflebriv-mdgomareobaze

კომისარს ამ კუთხით გააქტიურება და მოლაპარაკებების პროცესში ჩართულობა სთხოვა.[45]

ერთ-ერთ განცხადებაში ნინო ლომჯარია ეხება ე. წ. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ პირობებს. ომიდან 13 წლის გასვლის შემდეგ კვლავ პრობლემად რჩება დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის და მოსახლეობის კომპენსაციის საკითხი. ამასთან, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ აქვთ სათანადო სოციალური პირობები, სამუშაო ადგილები, რეგულარული შემოსავლები, ინფრასტრუქტურა.[46]

სახალხო დამცველი, როგორც წესი, აქტიურადაა ჩართული კონფლიქტის ზონებში მოქალაქეების უფლებების დაცვის საკითხებში. მისი მთავარი რეკომენდაცია სახელმწიფო ორგანოების მიმართ საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერებაა, რადგან არსებულ პირობებში მთავარი იარაღი რუსეთის წინააღმდეგ სწორედ საერთაშორისო სასამართლოებში გამარჯვება და პარტნიორების საშუალებით ეკონომიკური თუ სავიზო ზეწოლის განხორციელებაა.

დასკვნა

გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრება მუდმივ შიშსა და სიღარიბეში უწევთ. რუსული ოკუპაცია საქართველოსთვის არ ყოფილა ერთჯერადი აქტი, ოკუპანტი, ქვეყანას მუდმივი ანექსიის პროცესში აცხოვრებს, რასაც მოწმობს უკანონო ბორდერიზაცია. ამ ვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მცხოვრებლების ხმა

[45] საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური გვერდი, სახალხო დამცველის შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-shekhvedra-evropis-sabchos-adamianis-uflebata-komisartan?fbclid=IwAR0KAfWRnkvhxdv-lF4noCWhmEPXHi1Ud-K9lHxIsAMoBwAGuKksFN8DQRc

[46] საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური გვერდი. სახალხო დამცველის განცხადება აგვისტოს ომის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით. https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-agvistos-omis-me-12-tslistavtan-dakavshirebit

ისმოდეს სახელმწიფო დონეზე, ხელისუფლებამ გააძლიეროს მათი მხარდაჭერა სოციალური და ეკონომიკური პროექტებით.

ამ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ფუნქცია შეუქცევადია, ვინაიდან მისი უშუალო ჩართულობით გარანტირებულად გაუმჯობესდება ადგილობრივი მაცხოვრებლების ყოფა და პირობები. დღეს გორის მუნიციპალიტეტში თითქმის არ ისმის საოკუპაციო ხაზის სოფლების მოსახლეობის ხმა, ისინი მიტოვებული არიან მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების იმედზე. განსაკუთრებით კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში, დისტანციურად საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა გაცილებით გართულდა. საუკეთესო მექანიზმი ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობა არც ისე ბევრს ითხოვს: ჰქონდეთ პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა (სოფელში არსებობდეს ამბულატორიები და აფთიაქი) და შეძლონ სოფლებში საკვები და პირველადი მოხმარების პროდუქტების შეძენა. აგრეთვე მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობა, რათა დასახლებათა დონეზე გადაადგილების შესაძლებლობა არსებობდეს.

ჩატარებული კვლევებისა და გამოთხოვილი ინფორმაციების საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ნაკლებად არის ორიენტირებული შედეგებზე, გარკვეულწილად დარღვეულია „პოლიტიკა-პროგრამა-ბიუჯეტი“-ის ლოგიკური თანმიმდევრობა. არსებული მუნიციპალური პროგრამები ძირითადად მუნიციპალური სერვისების მომსახურებების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული, ნაცვლად, გრძელვადიან განვითარების მიზნებისა. მუნიციპალიტეტში ყველაზე მსხვილ ინვესტორად ისევ სახელმწიფო რჩება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურა ერთგვარ „ტრადიციულ შაბლონად“ არის ქცეული. რეალურად, არ არსებობს პრიორიტეტების

დოკუმენტის[47] (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და პროგრამები) შექმნის პრაქტიკა, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს. (გორის საკრებულოსა და მერიის საიტებზე არ იძებნება ინფორმაცია გრძელვადიანი განვითარების გეგმის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება განვლილ პერიოდზე, ჩატარებულ კვლებზე და გამოკვეთილ საჭიროებებზე. არ იწარმოება მუნიციპალური სტატისტიკა, უაღრესად მწირია მონაცემები მუნიციპალური აქტივების, მათ შორის, მიწისა და ბუნებრივი რესურსების, ადამიანური რესურსების, საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის მხრივაც).

ადგილობრივი თვითმმართველობის როლთან და მუშაობის ხარისხთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მეჯვრისხევში, ქვეშში, ფლავში, მერეთში, დიცში, ერგნეთში, ტირძნისში ნიქოზსა და ხვითში ანკეტირების მეთოდით ჩავატარე გამოკითხვა[48]. ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღო 90-მა რესპონდენტმა. შედეგების მიხედვით, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი მაცხოვრებლები ნაკლებად არიან ჩართულნი მმართველობის საკითხებში, არ იცნობენ მუნიციპალურ ბიუჯეტს, იშვიათად იღებენ მონაწილეობას საერთო-სათემო ან საერთო-სასოფლო კრებებში, მუნიციპალური საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებს არ აქვთ მოსახლეობასთან ჯეროვანი კომუნიკაცია მათი საჭიროებების დადგენის თვალსაზრისით.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 84%-ს არასოდეს მიუღია მონაწილეობა საერთო სახალხო კრებებში, სადაც განხილული იქნებოდა სოფლის საჭიროებები. მათ ნაწილს არც სმენია ამგვარი კრებების არსებობის შესახებ. მათ, ვისაც ერთხელ მაინც მიუღია მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა, შეკითხვაზე, თუ რა საკითხები განიხილებოდა კრებაზე, შემდეგი პასუხები გასცეს: გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და ნაგვის ურნების მოწყობა, სოფლისთვის და

[47] საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი. მე-3 თავის, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტი და მე-5 თავის, 54-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ე.გ)“ ქვეპუნქტი.
[48] კვლევის (გამოკითხვის) შედეგები იხილეთ დანართი N4-ში

რეგიონისთვის სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება. რესპონდენტების 80%-ისთვის საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებს არ აქვთ ჯეროვანი კომუნიკაცია მოსახლეობასთან მათი ყოველდღიური საჭიროებების გამოკვეთის თვალსაზრისით. გამოკითხულთა დაახლოებით 65% ამბობს, რომ საერთოდ არ ხდება ან ხდება დაბალი ხარისხის გამოკითხვა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან სოფლის საჭიროებების და პრობლემური საკითხების. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა კრიტიკული უმრავლესობა 90% საერთოდ არ არის ან ნაწილობრივ არის ინფორმირებული საკრებულოსა და მისი კომისიების სხდომების შესახებ, რაც პირდაპირი მანიშნებელია მერიისა და საკრებულოს მხრიდან კომუნიკაციის არარსებობისა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კითხვაზე, რამდენად იცნობთ მუნიციპალურ ბიუჯეტს პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: საერთოდ არ ვიცნობ - 57,8%, მეტნაკლებად ვიცნობ - 24.4%, ცუდად ვიცნობ - 15.6%, ხოლო კარგად ვიცნობ - 2.2%. ეს მაჩვენებლები კიდევ ერთხელ მიანიშნებს მოსახლეობის გათიშულობაზე მმართველობის პროცესთან, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როცა გორის მუნიციპალური ბიუჯეტი მათი გადახდილი გადასახადებისაგან შედგება და მათ ფულს წარმოადგენს. გამოკითხულთა 37.7%-ს პრიორიტეტულად მიაჩნია მერიის მხრიდან განხორციელებული სხვადასხვა პროექტები, რომლებიც, ძირითადად, გზების რეაბილიტაციას და სკვერების მოწყობას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის შემდეგ სოფლებში თითქმის სრულად განადგურდა ინფრასტრუქტურა, შესაბამისად, ადგილობრივები მტკივნეულად განიცდიან გზების ამორტიზების საკითხს.

გზების მოწესრიგებასთან ერთად, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მერიის პროექტებში დაამატებდნენ შემდეგ საკითხებს: წყალმომარაგების სისტემის გამართვას, (იგულისხმება, როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყალი), ჯანდაცვის სიტემის გაუმჯობესებას, განათლების სისტემის გამართვას.

გამოკითხვიდან გამოჩნდა, რომ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ისევ პრობლემად რჩება უმუშევრობის საკითხიც. რესპონდენტების 62.2% დასაქმებულია

კერძო ან საჯარო სექტორში და მხოლოდ 14.4%-ია თვითდასაქმებული. ინვესტიციების ნაკლებობა ამ ტერიტორიაზე უმუშევრობის 20%-ზე მაღალ მაჩვენებელს იწვევს. თავის მხრივ, გამართლებულია ბიზნესის სიფრთხილე საოკუპაციო ხაზთან ახლოს ინვესტირებაში, თუმცა აქაც ვაწყდებით ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებების პასუხისმგებლობის საკითხს. მათ უნდა შექმნან სტაბილური გარემო და მიმზიდველი პირობები კერძო სექტორისთვის, რათა ინვესტორი დაინტერესდეს ახალი საწარმოების გახსნით, ან მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ობიექტებით, მაგალითად, როგორიცაა აფთიაქი, სურსათი ან პურის საწარმო, რადგან ამ კუთხით ყველაზე მეტად უჭირთ ადგილობრივებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასაქმება, რესპონდენტების 74% პასუხობს, რომ ან არ არის შესაძლებელი, ან ნაკლებად შესაძლებელია.

შეკითხვაზე, რამდენადაა ხელმისაწვდომი გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სააფთიაქო ქსელი, გამოკითხულების 28%-ისთვის - ფაქტობრივად, ხელმიუწვდომელია, 57%-ისთვის - ნაწილობრივაა ხელმისაწვდომი, ხოლო 28%-ისთვის - სრულად ხელმისაწვდომია. ეს შედეგები კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ფაქტს, რაზეც ზემოთ არაერთხელ ვისაუბრეთ, რომ მოსახლეობისთვის სერიოზული პრობლემაა მედიკამენტების შეძენის საკითხი. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა სოფლად მცხოვრებთა უმრავლესობა ხანდაზმულია და წამლები ხშირად ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდაა საჭირო. კორონა პანდემიის პერიოდში რესპონდენტთა უმრავლესობას ჰქონდა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის პროდუქტებზე.

რესპონდენტების 80%-ისთვის ის გარემო, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება, არ არის უსაფრთხო. ისინი ინფორმირებულნი არიან საოკუპაციო ხაზის სოფლებში ძალოვანი სტრუქტურების ოპერირების შესახებ, თუმცა გარემო იმდენად არასტაბილურია, რომ დაცულობის განცდა მაინც დაბალი აქვთ.

კვლევა გვაჩვენებს, რომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან ახალგაზრდების გადინების შემაშფოთებელი ტენდეციაა. ურბანიზაციის მაღალ დონესთან ერთად, რაც საქართველოს თითქმის ყველა სოფელში შეინიშნება, ადგილზე უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილების პრობლემაც ემატება. შესაბამისად, ახალგაზრდა თაობა საცხოვრებლად მეტად პერსპექტიულ პირობებს ეძებს.

გამოკითხულების პასუხები შეკითხვაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ ახალგაზრდების სოფლებში დასარჩენად, შემდეგნაირი იყო:

ა) უნდა შეიქმნას სტაბილური და უსაფრთხო გარემო;

ბ) იყოს ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სერვისები, ამბულატორია, აფთიაქი;

გ) მოეწყოს სკვერები, მოედნები, კულტურული ღონისძიებები;

დ) შეიქმნას სამუშაო ადგილები;

ე) განხორციელდეს ინვესტიციები;

ვ) განვითარდეს სოფლის მეურნეობა.

რესპონდენტები ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად და კონფლიქტის დასასრულებლად რამდენიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს გამოყოფენ, რომელიც, მათი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას. ესენია:

ა) რუსეთთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება - 30%;

ბ) ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია - 77,8%;

გ) მუნიციპალური ეკონომიკის განვითარება - 34%;

დ) სოფლის მეურეობის ინდუსტრიის განვითარება - 30%;

ე) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გამართვა - 18%.

გამოკითხულთა შორის, ცალსახაა, რომ უმრავლესობას კონფლიქტის მოგვარების უმთავრეს გამოსავლად ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია მიაჩნია. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საოკუპაციო ხაზის მოსახლეობამ საკუთარ თავზე გამოსცადა რუსული იმპერიალიზმის უმძიმესი შედეგები, მათ სახლებზე და საკარმიდამო ნაკვეთებზე გაიარა ომის წინა ხაზმა, რამაც სამუდამო კვალი დაატყო ამ

ადამიანების ცხოვრებას. დღემდე მძიმეა ვითარება საოკუპაციო ხაზის სოფლებში, რადგან მუდმივად უწევთ ბორდერიზაციის პროცესთან შეგუება, უჭირთ შინაური პირუტყვის საბალახოდ გაშვება, წინაპრების საფლავების მონახულება, საკვებისა და მედიკამენტების შეძენა, სამსახურის პოვნა, ეს ყველაფერი კი საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე შემოჭრილმა რუსეთის ფედერაციამ განაპირობა.

ბორდერიზაციის პარალელურად საოკუპაციო ხაზთან უკანონო დაკავებების მანკიერი პრაქტიკის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან ადგილობრივი სოფლების მაცხოვრებლები, მათ შორის, ქალები და ბავშვები. ამ ტერიტორიებზე მოსახლეობას ცხოვრება ყოველდღიურ შიშსა და ტერორში უწვეთ. ვითარებას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია სად გადის ე. წ. ადმინისტრაციული საზღვარი, რაც უკანონო დაკავებების მაპროვოცირებელი ხდება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რაც დღეს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოქალაქეებს უდგათ, თუმცა ხშირად მათთან ერთად დგანან ქართველი აქტივისტები, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველი, რათა ამ ადამიანებს გაუჩნდეთ მხარდაჭერის განცდა.

ჩატარებული კვლევებისა და გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე მნიშვნელოვანია, რომ საოკუპაციო ხაზთან არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალურ (მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის მერია) დონეზე გადაიდგას შემდეგი ქმედითი ნაბიჯები:

1) **საჯარო მომსახურების სრულყოფა:**
   1.1) ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, ადგილობრივ მოსახლეობასთან საკომუნიკაციოდ, მეტი საჯაროობა და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების გაუმჯობესება:
   1.2) ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაძლიერება;

1.3) დასახლების საერთო შეკრებების, როგორც კანონით დადგენილი მონაწილეობის ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობების გაზრდა;

1.4) საკრებულოს, მერიისა და მათში შემავალი კომისიების სხდომების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება;

1.5) ოფიციალური ვებგვერდების გაუმჯობესება, კერძოდ სრული ინფორმაციის განთავსება და მუდმივ რეჟიმში მისი განახლება;

1.6) თემატური სპეციალობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

ყოველივე ზემო აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, ერთის მხრივ ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის გაუმჯობესებას, გამჭვირვალობისა და ღიაობის გაზრდას, ხოლო, მეორეს მხრივ, ადგილობრივ დონეზე, რეალური პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენას. მუნიციპალიტეტში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ბიუჯეტური ნაწილის მართვაზე, მოსახლეობის ხელმისაწვდომობა გაზრდის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ ნდობას, აგრეთვე დახარჯული დრო, ფინანსები და რესურსი გახდება შედეგზე ორიენტირებული, რომელიც მოახდენს კორუფციასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციას.

2) მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარება

3.1) საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობაზე ორიენტირებული ეკონომიკური სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შემუშავება;

